

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

1. შესავალი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში (კორეის უბანი) არსებული სამანქანე ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შ.პ.ს. “ვეგა+”-ს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან 2021 წლის 05 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №105 ხელშეკრულების საფუძველზე. შ.პ.ს. “ვეგა+”-ს მიერ ჩატარდა სათანადო საკვლევადიებო ტოპო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, გიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოები.

სამუშაოები ჩატარებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად «СНиП 2.05.03-84. Мосты и трубы. Нормы проектирования», «СНиП III-43-75. Мосты и трубы. Правила производства и приемки работ» და სხვა.

ხიდის დატვირთვის კლასი А-8, ხიდის დასაშვებ დროებით შვეულ დატვირთვად განსაზღვრულია Н-10 საავტომობილო დატვირთვა, 10 ტონიანი მანქანების კოლონაში ჩართული ერთი 16,9 ტონიანი ავტომობილით, და НГ-60 მუხლუხა დატვირთვით,

პროექტის მიზანია აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია.

2. არსებული სიტუაციის დახასიათება

აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული ხიდი სარეაბილიტაციოა. ხიდის კონსტრუქციული ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საჭიროა ახალი მოაჯირების მოწყობა, სავალი ნაწილის მოწყობა არსებულ საფარზე, გაბიონების მოწყობა ხიდის შემდეგ მარჯვენა ნაპირზე და ხიდის ბეტონისა და მეტალის ელემენტების დაცვა კოროზიისა და სხვა ზემოქმედებისაგან.

3. რაიონის ბუნებრივი პირობები

რაიონის კლიმატი მშრალი, ზომიერად გრილი, კლიმატური მონაცემები აღებულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ **პნ 01.05-08** (“სამშენებლო კლიმატოლოგია”). კლიმატური ქვერაიონი IIIბ.

- | | |
|---|---------|
| 1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა | -20 |
| 2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა | +39 |
| 3. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა | +13,8 |
| 4. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში 78%) | |
| 5. ნალექების რაოდენობა წელიწადში | 1980 მმ |

6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში	250 მმ
7. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში	824 მმ
8. თოვლის საფარის წონა	0.5 კპა
9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	14
10. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი	
წელიწადში ერთხელ	27 მ/წმ
5 წელიწადში ერთხელ	32 მ/წმ
10 წელიწადში ერთხელ	34 მ/წმ
15 წელიწადში ერთხელ	35 მ/წმ
20 წელიწადში ერთხელ	36 მ/წმ
11. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:	
5 წელიწადში ერთხელ	0.6 კპა
15 წელიწადში ერთხელ	0.73 კპა
12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა სახის გრუნტებისთვის	ყველა სახის 0 სმ

გეოგრაფიულად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მეტეოსადგურის მდებარეობა (უახლოესი მეტეოსადგური „ლანჩხუთი“) სიმაღლე ზღვის დონიდან 29მ.

უბნის სეისმურობად **პნ 01.01-09 „სეისმომდეგი მშენებლობა“-ს** მიხედვით მიღებულ იქნას (სკალა **MSK64**) 7 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი **A=0.11.**

სიმაღლეთა პირობითი ნიშნულები სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ იცვლებიან 20.0-23.5 მ-ის ფარგლებში.

4. საპროექტო გადაწყვეტილება

ხიდის სრული რეაბილიტაციისათვის საჭიროა: ახალი მოაჯირების მოწყობა, სავალი ნაწილის მოწყობა არსებულ საფარზე, გაბიონების მოწყობა ხიდის შემდეგ მარჯვენა ნაპირზე და ხიდის ბეტონისა და მეტალის ელემენტების დაცვა კოროზიისა და სხვა ზემოქმედებისადას.

ხიდის ორივე მხარეს ეწყობა გრუნტის გზა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, რომელიც უნდა დაიტკეპნოს ყოველი 0.25 მ-ს შემდეგ.

გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის პირობები მოცემულია მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამის თავებში.

შეადგინა:



ლ. იმედაძე